F 262/13030.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წლიწადი მეექვსე
შაბათი, იანვრის 3 1920 წ. № 2
ფასი 3 მან.

პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

საქართველო

1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ათომ'ში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	ნახევარ წლით	სამი თვით
1000 მან.	600 მან.	300 მან.

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი

შაბათს, იანვრის 3-ს
დილით — კატა წაღებში და შობის ხე
საღამოთი — ოპერა მუშებისათვის რიგოლეტო.

კვირას, იანვრის 4-ს
დილით — ევგენი ონეგინი
საღამოთი — სევილიელი დალაქი

ორშაბათს, იანვრის 5-ს საღამოთი
აბესალომ და ეთერი

ხუთშაბათს, იანვრის 8-ს
დილით — გენზელ და გრეტელი
საღამოთი — პიკის ქალი

პარასკევს, იანვრის 9-ს
დილით — კარმენ
საღამოთი — ჰოფმანის ზღაპრები

შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისათვის.
„ჯამბაზები“ და ბალეტი

კვირას იანვრის 11-ს
დილით — გენზელ და გრეტელი
საღამოთი — დუბროვსკი

ღრმად დამწუხრებული მშობლები თამარი და დიმიტრი, ძმა გიგა ბილანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მაიკო) დიმიტრის ასული ბილანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. პატარძეულში იანვრის 4-ს, საგვარეულო სასაფლაოში. 2785 1 1

ბილანიშვილების გვარეულობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ საუკეთესო წევრთაგანის

მაიკო დიმიტრის ასული ბილანიშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება სოფ. პატარძეულში, საგვარეულო სასაფლაოში, იანვრის 4-ს. 2685 1—1

დამწუხრებული ლოლა და გიორგი გაბიტაშვილები თავიანთი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მაიკო) დიმიტრის ასული ბილანიშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფ. პატარძეულში იანვრის 4-ს, საგვარეულო სასაფლაოში. (1—2685—1)

დამწუხრებული თეკლე და ბიკენტი მდივანი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

მაიკო დიმიტრის ასულის ბილანიშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. პატარძეულში იანვარის 4-ს, საგვარეულო სასაფლაოში (1—2685—1)

2937

გამოვიდა და იყიდება

„მეოცნებე ნიამორები“

№ 3

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„შვილოსანი“

მონაწილეობენ: შალვა ამირეჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

ყოველ დღე საათის 1—5-დის

სადილი

რუმინიული ორკესტრი ცნობილ ანგელესკოს ხელმძღვანელობით.

საღამოს შეკრება 9 ნახ. ს. პროგრამის დაწყება 10 ნახ. ს.

ქუთაისის სამაზრო ერობა

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩაზე ერობის ქარავნის ეროში 11 იანვარს 1920 წ. დილით კვირას საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ორი უღელი კამეჩი და ხუთი ცხენი

საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში.

322—5—3

დღეს კინო თეატრებში

კინო-თეატრი **ფილმა** ოლღას ქუჩა № 3.

მხატვრული კინო-ილლიუსტრაცია ა. დიუმას განთქმულ რომანით

„გრაფ მონტე-კრისტო“

„ძმ. პატეს“ ატელიეს გამოცემა. სერია „ფილმ დ' არ“.

ეპოქები 1 და 2 — „ედმონდ დანტესი“ „მონტე-კრისტოს საუნჯე“.

დანტესის როლში ბ-ნი დ. მატო.

მუს. ილუსტრ. ნ. ხუდიაკოვისა. თეატრი ითბობა.

აპოლლო ახალი რუსული მხატვრული დადგმა ატელიე „ნეპტუნისა“

დემონის ქალი

დრამა 5 მოქმ. ზოია ბარანცევიჩის და ტურკინასი.

მოქმედება სწარმოებს კავკასიის ბუნების მშვენიერ ფონზე. უმთავრეს როლებში: ხაზლოცკაია, კოლუმბავა, ნეკრასოვი.

დადგმა მალიკოვისა.

კინო პალასი ახალი დიდი სამხატვრო პროგრამა „ხანჟონკის“ ატელიეს გამოცემა

ვერცხლი გავშვების გამტაცებლები

სევდიანი დრამა 4 ნაწ. დიდი ქალაქის ბანდიტების ცხოვრებიდან. შესანიშნავი დადგმა. მომტაცებელი ტრიუკი!

სიყვარული და შოკოლადი მხიარული კომ. 3 ნაწილად

ანონსი: ამ დღეებში ახალი შესანიშნავი დადგმა ლეონიდოვისა და დორეტტონის მონაწილეობით

მინიონი დ. ხარიტონოვის ატელიეს მხატვ. დადგმა

1920 წ. იანვრის 3-ს

ოპიუმის რკალში

(ექ. რენოდელლის თავგადასავალი)

დრამა 5 ნაწ. ხუდალეევის, ობელენსკის და ლაგუტინის მონაწილეობით

ა. უტკინის რეპროდუქცია

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

მიხეილის **ალკრე** პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ სამი დღე ქრისტეშობისთვის 29, 30, 31-ს

სიკვდილის ფრთების ქვეშ

პრინც ალბერტ ფლორენტილის მემუარებიდან.

ტრაგედია 4 ნაწილად მარია იაკობინის მონაწილეობით.

დასასრულ **კომიკური**

ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

მიიღება ხელის მოწერა

1920 წლისთვის

დასურათებული ხაყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 „
ნახვარი წლით . . . 90 „

მისამართი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსავლელი დავითის ქუჩიდან № 2 ტელეფონი № 7—56. 321 10—2

მოითხოვეთ ყველგან

უმაღლეს ხარისხის

კონიაკი და არაყი

ი. მ. ლაზარევის

თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—10

კახური ღვინო

საუკეთესო ხარისხისა და შედარებით იაფ ფასებში

ბითუმად და წვრილად შეიძლება შეძენა

კახეთის მევენახეთა აქციონერულ საზოგადოებისაგან

„კახური ღვინო“

საწყობი და კანტორა რუსთაველის (გოლოვინსკის პროსპ.) № 40.

განყოფილებები:
ოლღის ქუჩა № 40.
დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქ. № 6.
ჩერქეზიშვილის და პავლოვსკის კუთხე № 109.

6—311—5

ყურადღება!

მოიკითხეთ

საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

ძმ. კაიტმაზოვებისა

მისამართი: ელისაბედის ქ., № 117, ტელ. 9—77.

ყურადღება!

312 5—5

განცხადება

გამგეობა თბილისის სადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 30-ს 1919 წ. შეერთებულმა კრებამ ზედამხედველი კომიტეტისა და ამ ბანკის გამგეობისა, ობლიგაციონერთა ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების უფლებით, **დაადგინა:**

სარგებელი, რომელსაც იხდიან მსესხებლები, სესხის რაოდენობის კვალობით, შესადგენად სათადარიგო და ექსტრაორდინალურ თანხებისა და ბანკის გამგებლობაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად მიყვანილ იქნას 1½ნახ. პრ. წელიწადში. 1919 წლის ქრისტეშობისთვის 31-დან.

(1—323—1)

ახალი სამინისტროები

დამფუძნებელ კრებამ ორი უკანასკნელი სხდომა მოანდომა ახალ სამინისტროების დაარსების შესახებ კამათს.

ვინც ყურს უგდებდა ამ კამათს ის შეამჩნევდა ერთ არა ნორმალურ მოვლენას.

სხვა დროს და სხვა ქვეყანაში ახალი სამინისტროების გამოყოფა და ახალი მინისტრების კანდიდატურა სხვანაირ კამათის საგანი იქნებოდა, მაგრამ ჩვენში მართველ პარტიას ისე აქვს დაყენებული საქმე, რომ ყველაფერი უკუღმა უნდა ტრიალებდეს.

არც შორს არის ის დრო, როცა დღევანდელი პრემიერი, მხოლოდ უბრალო პუბლიცისტი იყო.

მაშინ ხშირათ იმართებოდა პოლემიკა სახელმწიფოებრივ საკითხებზე და ორტოდოქსი მარქსისტი მოწინააღმდეგეებს აბრალებდა ორ-თავიანობას, თვითონ კი მიიღო ეპიტეტი „თუჯის თავიანი“ მწერალის.

მაგრამ რამდენადაც შაბლონიური იყო მარქსიზმის თეორია წერის დროს და ხაზიც სწორი, იმდენათ აბნეულია და მრუდე დღეს, როცა დოქტრინები და დოგმები აღარ ეტევიან ცხოვრების კალაპოტში, და სოციალ-დემოკრა-

დღეს:

თბილისში იწვევენ კონფერენციას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის შესამუშავებლად.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უნგრეთის სამეფოს აღდგენას მოითხოვს.

ესტონეთისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა შორის შეთანხმება მოხდა.

მემარჯვენე ესერებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთქმულობა მოაწყვეს.

——

წერილები:

მეთაური—ახალი სამინისტროები.
ეკალაძე—წერილი გურიიდან.
გორგი—საახალწლო მილოცვები.

ტიას უხდება ხშირათ იმ საქმის კეთება, რომლის წინააღმდეგი თვითონვე იყო. მენშევიკების კომპრომისების ჩამოთვლა ძალიან გრძელი ისტორია იქნებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო თვალში ეცემა მაყურებელს, ის მეტამორფოზა, რომელსაც განიცდის მენშევიკების კაბინეტი.

მთელი წელი შარშან ბ. ნ. ჟორდანიამ და მენშევიკების პრესამ მოანდომეს „მართველობის გამარტივების“ მტკიცებას, მაშინ, როცა ჩვენი ცხოვრება უფრო გართულებული იყო და დაუწყობელი, მაშინ როცა გარედან და შიგნით რესპუბლიკის წინააღმდეგ აუარებელი მტრები იყვენ ამდგარი და ლამობდენ რესპუბლიკის დამხობას სოციალ-დემოკრატიამ უკეთესს საშუალებათ მიიჩნია მართველობის „გამარტივება“ და რამდენიმე საპასუხის-მგებლო სამინისტროებს ერთ კაცის ხელში მოუყარა თავი.

შეგნებული ოპოზიცია იმ თავითვე დარწმუნებული იყო, რომ მინისტრების ისეთი შემადგენლობა, როგორიც იყო განზრახული, არა თუ რამდენიმე სამინისტროებს, ერთსაც ვერ გაუძღვებოდა წესიერათ.

ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ იმაზე მეტი „გამარტივება“ და „გაპროფანება“ მართველობის, როგორც ეს სოციალ-დემოკრატიამ მოახდინა შეუძლებელი იყო კიდეც.

მაშინ რასაკვირველია არავის აზრათ არ მოსვლია მინისტრების კერძო პიროვნების შეხება, ან რა აზრი იყო ამაში—მბრძანებელი იყო კოლექტივი და ასრულებდა თავის საქმეს, როგორც მოეპრიანებოდა.

მაშინ მენშევიზმმა თავის თავი საქართველოს დაუპირდაპირა—და ყველას არწმუნებდა, რომ მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაა.

ეს ხერხი მენშევიკებმა შემდეგ ჩვეულებად გაიხადეს.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში მართავდენ რესპუბლიკას ეს „გამარტივებული“ მმართველები. ამ ხნის განმავლობაში მთავრობას ერთი სიტყვაც არ წამოცდენია, რომ მისთვის საძნელოა ქვეყნის მართვა და საჭიროა რეორგანიზაცია, მხოლოდ რამდენიმე დღის წინ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გადაუწყვეტია იუსტიციის და სამხედრო სამინისტროები გამოყონ ცალკე სამინისტროებათ.

დამფუძნებელი კრების ოპოზიცია უკვე მომხდარ ფაქტის წინ აქნა დაყენებული.

მაგრამ რა აზრი აქვს ახალი სამინისტროების შექმნას?

თვითონ მთავრობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სენატის დაარსების შემდეგ იუსტიციის სამინისტროში საქმე უფრო მოწესრიგდა და გამარტივდა.

მაშინ რა ლოღიკა ითხოვდა სწორეთ ეხლა ახალი იუსტიციის მინისტრის დანიშვნას.

უფრო გაუგებარი არის კიდევ სამხედრო მინისტრის მოწვევა, თუ ეს მინისტრი ისევე მენშევიკი იქნებოდა, თუ ეს მინისტრი ისევე სამხედრო ცოდნას მოკლებული იქნებოდა, თუ პრემიერს დაუჯერებთ აგრეთვე, რომ ჯარის და გვარდიის შეთანხმების საქმე უკვე გაკეთებულია!

რაც შეეხება შრომისა და მომარაგების სამინისტროს, ამ სამინისტრომ საკმაოთ გაითქვა სახელი, რომ იმაზე კიდევ ითქვას რამე.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მენშევიკური პოლიტიკა დამოკიდებულია„ ახალ ჩამოსულ პიროვნებაზე და დაბრუნებულ ემიგრანტებზე.

თუ ახლანდელი სამხედრო მინისტრი მხოლოთ ეხლახან დაბრუნდა რუსეთიდან, ბ-ნი ივ. ჭავჭანიძე დიდხანს იყო ხონის ქალაქის თავად და მისი მინისტრათ დანიშვნა წინათაც ხომ შეიძლებოდა?

ჩვენ ვიცოდით და ვიცით რომ მენშევიკები ძალიან „ამარტივებენ“ მართველობას, ისე „ამარტივებენ“, რომ თვითონვე დაინახეს მისი შედეგები.

მართალია ბ. არსენიძეს და ლორთქიფანიძეს ფრაქცია უკეთებს დიდ რეკომენდაციას, მაგრამ საქმე პიროვნებაში არ არის, როცა მენშევიკებზეა ლაპარაკი.

სრულ „განმარტივებისგან“ მართველობას კაბინეტის მენშევიკებისგან შევსება კი არ უშველის, არამედ უფრო რადიკალური ზომა.

სომხეთ-აზერბაიჯანის
კონფლიქტი

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევა.

31 ქრისტეშობისთვეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ერევანში საგარეო საქმეთა მინისტრ ხატისოვს:

„30 ქრისტეშობისთვის თარიღით მატყობინებთ დეპეშით, რომ სომხეთის გოხტანის წინააღმდეგ დაუწყიათ ოპერაციების წარმოება ორდუბატის და ნახიჩევანის მაჰმადიანებს, ამასთან ერთად ადერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის საქართველოში ვეკილოვისაგან მომივიდა ასლი ადერბაიჯანის საგარეო მინისტრის დეპეშისა, რომელიც გამოუგზავნია თქვენთვის, რომლითაც იგი იტყობინება, რომ თანახმად მიღებულ ცნობებისა სომხეთის მთავრობამ 21 ქრისტეშობისთვეს დაიწყო საომარი ოპერაციების წარმოება ზანგიბაზარის რაიონის მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ვინაიდან ამ მოკლე ხანში განზრახულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო კონფერენციის გახსნა, რომელმაც მშვიდობიან გზით უნდა გადასჭრას ყველა სადაო კითხვები, ამ ჟამად სისხლის ღვრისა და შეტაკების განახლება სადაო რაი ნებში ჰბადებს უსათუოდ დაბრკოლებას კეთილი და მტკიცე დამოკიდებულების შესაქმნელად ამიერ კავკასიის ერთა შორის, რომელიც ასე საჭიროა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა მომავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების განსავითარებლად. უსარგებლო ძმათა სისხლის ღვრის მოსასპობად მე საჭიროდ და უკეთესად ჩავთვლიდი, რომ თქვენ და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოსულიყავით თბილისში საგანგებო თათბირზე, ვიდრე საერთო კონფერენცია იქნებოდეს მოწვეული დღევანდელ მდგომარეობის განსახილველად და შეთანხმების პირობების გამოსარკვევად, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთის შორის ამ რაიონებში არ ჰქონდეს ადგილი ასეთს უთანხმოებას. ჩემის მხრივ მზად ვარ დაგეხმაროთ ამ შეთანხმების საქმეში და დაგითმობთ ადგილს სათათბიროდ.

საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**.

ამავე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა გაუგზავნა ბაქოში საგარეო საქმეთა მინისტრ ხან ხოილს შემდეგი დეპეშა:

„აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელ ვეკილოვისაგან მომივიდა მე ასლი თქვენი დეპეშისა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი, რომელშიაც თქვენ იტყობინებით, რომ თქვენ მიერ მიღებულ ცნობებით სომხეთის მთავრობამ 21 ქრისტეშობისთვეს დაიწყო საომარ ოპერაციების წარმოება ზანგიბაზრის რაიონის მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად მე მომივიდა დეპეშა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა, და ისიც მატყობინებს სამხედრო ოპერაციების დაწყებას ორდუბატის და ნახიჩევანის მაჰმადიანების მიერ სომხეთის გოხტანის წინააღმდეგ. ვინაიდან ამ მოკლე ხანში განზრახულია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა საერთო კონფერენციის გახსნა, რომელმაც მშვიდობიან გზით უნდა გადასჭრას ყველა სადაო კითხვები, ამ ჟამად სისხლის ღვრისა და შეტაკების განახლება სადაო რაიონებში ჰბადებს უსათუოდ დაბრკოლებას კეთილი და მტკიცე დამოკიდებულების შესაქმნელად ამიერ-კავკასიის ერთა შორის, რომელიც ასე საჭიროა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მომავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების განსავითარებლად.

უსარგებლო ძმათა სისხლის ღვრის მოსასპობად მე საჭიროდ და უკეთესად ჩავთვლიდი რომ თქვენ და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოსულიყავით თბილისში საგანგებო თათბირზე, ვიდრე საერთო კონფერენცია იქმნებოდეს მოწვეული დღევანდელ მდგომარეობის განსახილველად და შეთანხმების პირობების გამოსარკვევად, რომ ადერბაიჯანსა და სომხეთის შორის ამ რაიონებში არ ჰქონდეს ადგილი ასეთ უთანხმოებას. ჩემის მხრივ მზადა ვარ დაგეხმაროთ ამ შეთანხმების საქმეში და გითმობთ ადგილს სათათბიროდ.

საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**.

უცხოეთი

აზერბაიჯანი.

ამიერ-კავკასიის კონფედერაცია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფატალ ხან-ხოილმა, ქრისტეშობისთვის 30 ს საქართველოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა. „აზერბაიჯანის დელეგაციის ინიციატივით სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენციამ ბაქოში იცნო რა პრინციპიულად სასურველად და მიზანშეწონილად ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების კონფედერაცია, დაადგინა, ეს საკითხი წარედგინოს განსახილველად ხსენებულ რესპუბლიკებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა დიდი იმედით უყურებს ამ იდეას და ფიქრობს, რომ მჭიდრო კავშირის დამყარება ჩვენ შორის ერთად-ერთი ძლიერი ფაქტი იქნება პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ამიტომ, გთხოვთ მაცნობოთ თქვენი მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხთან და თქვენის მხრით პრინციპიული თანხმობა თუ იქნება, გვაცნობეთ დრო და ადგილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციის მოსაწვევად კონფედერაციის კონკრეტიულ ფორმების შესამუშავებლად“.

სომხეთი

ტერიტორიის ისტორიულ სახელის რესტავრაცია.

მინისტრთა კრების დადგენილებით შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსებულა სპეციალური კომისსია, რომელიც განაახლებს ისტორიულ სახელებს სომხეთის ტერიტორიის სოფლებისა, ქალაქებისა, მდინარეებისა და გზებისას.

სახალხო ერობის არჩევნები.

ერობის არჩევნები ერევნის მაზრაში დანიშნულია იანვრის 20-ს 1920 წელს.

აგარონიანის გაწვევა ლონდონში

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის ორგანო „ვერაცნუნდ“-ი პარიზში იტყობინება, რომ დელეგაციის თავმჯდომარე ა. აგარონიანი გაწვეულია ლონდონში ინგლისის საგარეო მინისტრის მიერ.

ნუბარ-ფაშის დეპეშა

ა. ხატისოვმა პოღოს ნუბარიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „თქვენ დეპეშებიდან გავიგეთ რა ზანგეზურში მომხდარ გამარჯვების გამო და თბილისში შეთანხმების ამბავი—ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ ჩვენი სიხარული“.

სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხი

ამერიკაში მომქმედ სომხეთის დამოუკიდებლობის კომიტეტის საინფორმაციო ბიურო იტყობინება შემდეგს: „ამერიკაში მომქმედ სომხურ კომიტეტმა,—რომელშიდაც შედის ზოგიერთი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე,—ვაშინგტონის მთავრობიდან მოითხოვს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაუყონებლივ ცნობას და შეიარაღებული ძალების გამოგზავნას სომხეთში. სენატორმა ვილიამსმა სენატში მეორე წინადადება შემოიტანა: გაიგზავნოს სომხეთში შეიარაღებული ამერიკული ძალები“.

რუსეთი

საბჭოთა რუსეთი

ბოლშევიკები მოხალისეთა ლაშქრის შესახებ

(ს. დ. ს.)

მიუხედავად დენიკინის სარდლობის მიერ მიღებულ საგანგებო ღონისძიებათა, ჩვენი ჯარი შეურყევლად განაგრძობს წინსვლას და თანდათანობით უახლოვდება სამხრეთის კონტრ-რევოლუციონურ ბუდეს: როსტოვსა და ნოვოჩერკასკს; სადგურ ლისკიდან როსტოვის მიმართულებით მიმავალი ჩვენი ჯარი ქ. ნოვოჩერკასკიდან დაახლოვებით ასი ვერსის სიშორეზე იმყოფება. დენიკინის ჯარი უზრუნველყოფილი არ არის ჩვენი ჯარის თავდასხმისაგან, აგრეთვე ლუგანსკისა და ბახმუტის მხრიდანაც. სტრატეგიული ბრძოლა ჩვენს სამხრეთის ფრონტზე უკვე კრიზისს უახლოვდება და ყოველივე ეჭვს გარეშე კრიზისის შემდეგ დაიწყება კატასტროფიული რღვევა დენიკინის არმიისა.

გერმანული პრესა საბჭოთა რუსეთის შესახებ

გერმანიის პრესაში უფრო ხშირად იბეჭდება წერილები, რომლებიც არკვევენ საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების სარგებლობას. „ტეგლიხე რუნდშაუ“ სწერს: გერმანიაში სპარტაკელთა გამარჯვება ჩვენ საბჭოთა რუსეთთან კავშირს მოგვიპოვებდა და საშუალებას მოგვცემდა ომის დაწყებისას ინგლის-საფრანგეთთან. გერმანიის მუშები აღფრთოვანებით ეგებებოდენ ამ ბრძოლას დასავლეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პოლონეთი ვერ გაუძლებდა ორი მხრით მოხდარ საბჭოთა გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის ძალებს და ამით ანტანტა ჩათრეულ იქნებოდა ახალ ომში რომლისაც მას აგრე ეშინია.“

მემარჯვენე ესერების შეპყრობა

საბჭოთა რუსეთის მილიციელებმა შეიპყრეს მემარჯვენე ესერების ცნობილი ლიდერები, ალექსიევი, აგატოვი, სანტერი და მრავალი სხვა. მათ აღმოაჩნდათ ყალბი დოკუმენტები და ბოლშევიკების ბეჭდები. მემარჯვენე ესერები ფარულად მუშაობდენ და სოვნარკომის დამხობას ცდილობდენ.

იტალია

იტალიისა და სერბიის შეთანხმება

(საქ. დეპ ს.)

ტრიესტიდან იუწყებიან: იტალიელ და სერბ დელეგატებს შორის მოხდა შეთანხმება პოლიციის, ფოსტის და ტელეგრაფის შესახებ.

გერმანია

გეკშერი შუა ევროპის მდგომარეობაზე

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგში“-ს მოჰყავს გერმანიიდან ჩიკაგოში ახლად დაბრუნებულ დ-რ გეკშერთან საუბრის შინაარსი. გეკშერი შუა ევროპის მდგომარეობის შესახებ არ არის ისეთი ოპტიმისტური შეხედულობის, როგორც სხვები და შიშს გამოთქვამს, შეიძლება გერმანიას ისეთი ბედი ეწვიოს, როგორც ავსტრიას, თუ იგი შესაფერ ზომებს არ მიიღებს შიმშილობის თავიდან ასაცილებლად; თუ გერმანიაში შიმშილობა დაიწყო სპარტაკელები კვლავ თავს წამოყოფს და მაშინ კატასტროფა მოხდება.

გერმანიის გენერლები ბოლშევიკების შესახებ

გაზ. „პრეს დე-პარი“-ს ბერლინელი კორრესპონდენტი იტყობინება გერმანიის ცნობილ გენერლის აზრს, რომლის შეხედულობით რუსეთში ბოლშევიკების გამეფებისთვის საჭირო ყოფილა 40 დივიზია ახალ ტეხნიკურ იარაღებით მოწყობილი.

ამავე კორრესპონდენტს მოჰყავს გენერალ გოფმანის სიტყვა:

„ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ყველა სამხედრო ოპერაციები არა სასურველ შედეგებს იძლევა. იუდენიჩის პეტროგრადზე შეტევა დამარცხებით დამთავრდა. არც იმის ნიშანი არის, რომ კოლჩაკის ბრძოლაც გამარჯვებით დაგვირგვინდება. ცუდათ წავიდა აგრედვე დენიკინის საქმეც. მისი შეტევა დაცხრა, მისი არმიის გარშემო გროვდებიან ძალები, რომელნიც ემუქრებიან გზის გადაჭრას და სანაპირო ადგილას მომწყვდევას: შესაძლებელია რომ ამ ფრთის მუქარამ იგი კატასტროფამდე მიიყვანოს.

ყოველი ოპერაციები, რომელიც კი დღემდი სწარმოებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ—წარმოადგენს მხოლოდ უშედეგო ცდას, რომელსაც არავითარი სტრატეგიული გეგმა არა ჰქონია. უეჭველია ანტიბოლშევიკური არმიებსაც არ მოეპოვება ის ძალები, რომელნიც საჭიროა წითელ არმიის წინააღმდეგ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ანტიბოლშევიკურ არმიებს სჭირიათ ძალები თავის დასაცავად.

ასეთი შთაბეჭდილება—თითქო ბოლშევიკებთან ბრძოლა ძნელი იყოს, ნამდვილად კი არაფერია ისე ადვილი, როგორც მათი დარბევა თუ კი იქნება კარგი სამხედრო ძალა. ჯერ არ არის გამორკვეული—რუსის გენერლებს შეეძლებათ თუ არა გადამწყვეტი გამარჯვებით გაათაონ თავისი ბრძოლა.

თუ მათ ეს გამარჯვება ვერ შესძლეს ახლო მომავალში, მაშინ შეიძლება ბოლშევიკები გადავიდნენ შეტევაზე. ერთმანეთის სწორწონაობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, უნდა უეჭველად ერთი რომელიმე მხარემ სძლიოს. ვინიცობაა წითელ არმიის ძალები არ ამოიწუროს, მაშინ უეჭველია დამარცხებულ იქნებიან ანტიბოლშევიკური ელემენტები.

ბოლშევიკები რუსეთის საზღვრებსაც გადალახავენ, რადგან მათი მიზანია მთელი ქვეყნის რევოლიუციით შეპყრობა, ბოლშევიზმი აგრესიულია ამ შემთხვევაში. თავის გეგმების განსახორციელებლად ბოლშევიკები სარგებლობენ სამი უმთავრესი საშუალებებით. ჯერ ერთი, ისინი დიდ პროპაგანდას ეწევიან საზღვარ-გარეთ. მეორე: ისინი თანახმა არიან ზავზე. ბოლშევიკები დღეს ყოველგვარ პირობებს ღებულობენ იმიტომ, რომ ხვალ არც ერთს არ შეასრულებენ და ვერც შეასრულებენ ისინი ზავის პირობებს იმისთვის უფრო გამოიყენებენ, რომ თავიანთი პროპაგანდა გააძლიერონ. შემდეგი საშუალება არის წითელი არმია, რომელიც უნდა მოსპობილ იქმნას წინათვე, ვინაიდან მატერიალურ და სულიერ საშუალებადაც არის მოსკოვის ცენტრი, სადაც წითელი არმია დიდათ მუშაობს. უკანასკნელ დროს მათ აღარავითარი იდეალები აღარ ასულდგმულებთ. ისინი შეპყრობილნი არიან სოციალისტურ დოქტრინით და უნდათ თავიანთი დიქტატურა გააძლიერონ“.

ძმ. რეხლინგების დატუსაღება საფრანგეთის მიერ.

(საქ. დეპ. ს.).

დაჭერა ძმ. რეხლინგებისა, რომლითაც სამხედრო დანაშაულის ჩადენას აბრალებენ, დროებით ზავის ხელშეკრულების პირობებს ეწინააღმდეგება. გერმანია იძულებული იყო საფრანგეთის ოლქებისათვის რომელიც მას ომის დროს ეჭირა ზარალი მიეყენებია, მაგრამ დღეს საფრანგეთს არავითარი უფლება არა აქვს ეს ზარალი აინაზღაუროს გერმანელ მოქალაქეთა კერძო საკუთრების კონფისკაციით. ძმ. რეხლინგების წინააღმდეგ დანიშნულ სასამართლოს მიზნათ აქვს საარის ოლქში საფრანგეთის ბატონობის აღდგენა.

პოლონეთი

მოხალისეთა სარდლობისა და პოლონეთის შეთანხმება.

გაზეთ „იუგ“-ის როსტოველი კორესპონდენტი ქრისტეშობისთვის 25-ს იტყობინება, რომ რუსეთ-დენიკისა და პოლონეთ შორის მომხდარა შეთანხმება. პოლონეთის ჯარი დასავლეთ ფრონტზე შეუდგა აქტიურ მოქმედებას.

პოლონელების ჯარის შეტევაზე გადასვლა.

„კრიმსკი ვესტნიკი“ ქრისტეშობ 27-ს იტყობინება პოლონელების ჯარის შეტევაზე გადასვლას კიევის რაიონში. პოლონელის მიერ დაჭერილია უკვე რამდენიმე თვალსაჩინო სტრატეგიული ადგილები.

იაპონია

ამირალ კოლჩაკის სესხი იაპონიისაგან

ბერლინში არსებულ რუსულ გაზეთის „პრიზივის“ ცნობით იაპონიამ ამირალ კოლჩაკს მეორე სესხად მისცა 30 მილიონი

ბელგია

ნახშირის კრიზისი.

(საქ. დეპ. ს.)

ბრიუსელიდან იუწყებიან: ნახშირის კრიზისი ბელგიის ეკონომიურ ცხოვრებას ემუქრება. სამწუხარო შედეგების თავიდან ასაცილებლათ მთავრობა აპირებს ნახშირის ცენტრალიზაციასა და მის განაწილებაზე კონტროლის დაწესებას. პროვინციის ყველა საწარმოო დაწესებულებანი ჯგუფ-ჯგუფათ იქნება დანაწილებული. ისინი თავის მოთხოვნილებას წარუდგენენ განსაკუთრებულ ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც მომარაგების სამინისტროსთან პირდაპირი კავშირი ექნება. სამინისტრო ნახშირს მოთხოვნილებისა და მიხედვით პროპორციონალურათ გაყოფს და პროვინციის ჯგუფების ცენტრალურ ორგანოს თავის ორდერს გაუგზავნის, იგი თავის მხრივ მომხმარებლებს გაუყოფს. ამგვარათ იმედი აქვთ, რომ წარმოებს კრიზისს თავიდან აიცდენენ.

საერთაშორისო აფერისტის დაჭერა.

ამ რამდენიმე ხნის წინად ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ მიმართა ნოვოროსიის ხელისუფალთ რათა ვინმე საერთაშორისო აფერისტს დაჭერაში ხელი შეუწყონ. რადგან ხსენებული აფერისტი ამ ჟამად სამხრეთ რუსეთში იმყოფება. ამ ინტერნაციონალურ „გმირს“ უკანასკნელად ამერიკის დიპლომატიურ მისიისთვის მოუპარავს 750 ათასი ლირი.

მილიარდერ კარნეჯის ნაანდერძევი

გაზ. „ნიუ ისტ-ნიუსი“ დაწვრილებით იტყობინება ამერიკის ცნობილ შოტლანდელ მილიარდერ კარნეჯის ანდერძს.

ეს ანდერძი მეტად საყურადღებო დოკუმენტია. კარნეჯის დიდიხანია უნდოდა განთავისუფლებულიყო თავის მილლიარდებისგან და თითქმის მთელი თავისი ქონება კიდეც გასცა კაცობრიობის საკეთილდღეოდ. სიცოცხლის დროს მან დაურიგა 350 ათასი მილიონი დოლარი საქველმოქმედო საზოგადოებებს და სხვადასხვა დაწესებულებათ.

სიკვდილის შემდეგაც მას კიდევ დარჩა 30 მილ. დოლარი. მთელი ეს თანხა განაწილებულია ჰუმანიტარულ და სხვა დაწესებულებათა ორგანოებს შორის. აგრეთვე ბევრი თანხა გადადებული იყო ნაცნობებისთვის, მეგობრებისთვის და ღარიბ ხალხისთვის.

ახალი რესპუბლიკები

ჟურნალ „Eastern Europe“-ს, რომელიც პარიზში გამოდის. მოჰყავს ყოფილ რუსეთის იმპერიაში ახლად დაარსებულ სახელმწიფოების შემდეგი სტატისტიკური ცნობები:

ესტონეთი. სატახტო ქალაქი რეველი 47,500 კვად. კილომეტრი სივრცით 1.750.000 მცხოვრებნი. ამათში 93 პროც. ესტონელები არიან.

ლატვია. სატახტო ქალაქი რიგა. 64.196 კვად. კილომ. 2,552.000 მცხოვრები (72 პროც. ლატვიელები).

ლიტვა. სატახტო ქალაქი კოვნო. 125.000 კვ. კილ. 6.000.000 მცხოვრებნი.

ბელორუსია. სატახ. ქალაქი მინსკი 700.000 კვ. კილ. 14.075.000 მცხოვ. (70 პროც. ბელორუსები.)

უკრაინა. სატახ. ქალაქი კიევი. 800.000 კვ. კილ. 45.000.000 მცხოვ. (72 პროც. უკრაინელები).

ყუბანი. სატახ. ქალაქი ეკატერინოდარი. 85,000 კვ. კილ. 3.500.000 მცხოვ.

ჩრდილო კავკასია. „North caucasia“ მთიელთა რესპუბლიკა; სატახტო ქალაქი კავკავი, 150.000 კვ. კილ. 4.300.000 მცხოვრ.

აზერბაიჯანი. სატახტო ქალაქი ბაქო, 100.000 კვ. კილ. 4.500.000 მცხოვ, (75 პროც. თურქები).

საქართველო სატახტო ქალაქი თბილისი, 90.000 კვ. კილ. 3.000,000 მცხოვ. (75 პროც. ქართველები).

სომხეთი (რუს. და ოსმალეთის?) სატახტო ქალაქი ერევანი (სწორია ერზერუმი). 320.000 კვ. კილ. 4.000.000 მცხოვ. (75 პროც. სომხები).

ახალი ამბები

პარტიული ცხოვრება

კვირას, 4 იანვარს, დღის 12 საათზე, გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში დანიშნულია შეერთებული სხდომა სახელმწიფო უნივერს. ერ. დემ. სტ. ორგანიზაციის და ახალგაზრდათა მთავარ კომიტეტებისა. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

ეროვნულ-დემოკრ. პარტიის შორაპნის მაზრის ორგანიზაციის კონფერენცია.

3 იანვარს ყვირილაში გაიხსნება შორაპნის მაზრის ერ.-დემ. ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრება წარმომადგენლები თემის, სამაზრო ერობისა და ქალაქების.

მოხსენებებს წაიკითხავენ დამფუძნ. კრების წევრნი: ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, ალ. ასათიანი და მთავ. კომიტ. წევრები: პარ. გოთუა, ვას. წერეთელი, ალ. თორაძე და სხ.

მთავრობაში

მილოცვა

1 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენი მთავრობის მისალოცად შეიყარნენ ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. აქ იყვნენ ანტანტის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში და ამერიკის წარმომადგენელი პოლკ. ჰასკელი თავის თანაშემწით პოლკ. დეიდით, ბრიტანიის წარმომადგენელი მისტერ ოლივერ უორდროპის წასვლის გამო ბ. მილიგან გრეიდი, მაიორი დეილი, საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე გენ. დენონანკური ოფიცრებით, ინგლისის სამხედრო სამინისტროს შტაბში მაიორი დეიგი, იტალიის მისიის უფროსი პოლკ. გაბბა ადიუტანტებით, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ყვანგულოვი, საბერძნეთის—სტავრიდაკის, პოლონეთის—ოსტროვსკი, ფინეთის—ბრევისი, უკრაინის—კრასკოვსკი, ლიტვის და სხვა და სხვა წარმომომადგენლები ჩვენი სამინისტროების და საზოგადო დაწესებულებისა.

სამინისტროს შესავალში სახალხო გვარდიის საპატიო ყარაული იყო ჩარაზმული. დიდ დარბაზის გვერდით ცალკე ოთახში გაშლილი იყო საუზმე სტუმართათვის. საქართველოს მთავრობის გამოსვლის დროს ქალაქის თავმა ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილმა ადღეგრძელა პირველად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და. შემდეგ საქართველოს მთავრობა. წარმოთქმულ იქმნა მრავალი სადღეგრძელოები უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. მეტად ნასიამოვნები სტუმრები ნაშუადღევის 3 საათზე დაიშალნენ.

ჩხენკელის გამოსვლა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობების თანახმად ბ. აკ. ჩხენკელი ქრისტეშობისთვის 28-ს გამოსულა იტალიის პორტ ტარანტოდან.

მისალოცი დეპეშები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს სხვა და სხვა დაწესებულებებიდან ახალი წლის გამო მრავალი მისალოცი დეპეშები მოსდის.

საბერძნეთის ელჩი საქართველოში.

ბერძნულ გაზეთი „ნეო ლოგოს“-ის ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ თავის ელჩათ საქართველოში დანიშნა ბ-ნი პაპასი, რომელიც ამ დღეებში ათენიდან საქართველოში გამოემგზავრება.

გზათა სამინისტროში.

გემი „პორობ“-ის მეზღვაურთა დაბრუნება.

გზათა დეპარტამენტს ფოთიდან დეპეშით აუწყებენ, რომ ბათუმიდან ფოთში მოვიდნენ გემი „პორობი“-ს მეზღვაურნი და ბარჟა № 133. ყველა ჯანსაღათ არიან.

იუსტიციის სამინისტროში.

სიკვდილით დასჯა.

თბილისის საპყრობილეთა ინსპექციამ მოხსენებით აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ დუშეთის დროებით საგანგებო სამხედრო საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა შემდეგ ტუსაღებს: 1) გრიქურა ისაიანცს, იგივე (ისაშვილი), 2) შაქრო ლალიაშვილს, 3) შაქრო ავსაჯანოვს და 4) ალექსი ვერძილს. განჩინება იქნა სისრულეში მოყვანილი დეკემბრის 17-ს. ზემო აღნიშნულ პირებს გარდა იმავე სასამართლომ მიუსაჯა გაბო ვერძილს, შიო ხონიაშვილს და შაქრო აბრამიშვილს კატორღა—პირველს ორს 14 და უკანასკნელს 20 წლისა.

სასამ. პალ. თავმჯდომარის დანიშვნა.

საკასაციო დეპარტამენტის საერთო კრების ამა 17 დეკემბრის დადგენილებით, პროკურორის ამხანაგი ალიოშ გოჯასპირის ძე გელოვანი დაინიშნა თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ.

საგანგებო სასამართლოს დაარსება.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ სამტრედიაში, პალატის პროკურორის წინადადებით დაარსდა სამხედრო საგანგებო სასამართლო.

სხვა და სხვა ამბები

სომხეთ-საქართველოს ომში დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავად

გუშინ, შუადღის 12 საათზე, სამხედრო ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი სომხეთ-საქართველოს ომში დახოცილთა ხსოვნის პატივსაცემად. პანაშვიდი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ. დაესწრნენ სამხედრო მინ. ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი და დამფუძნებელი კრების წევრები. პანაშვიდს დაესწრნენ თბილისში მყოფ ჯარის ნაწილები. პანაშვიდის შემდეგ გაიმართა პარადი. ჯარს სიტყვით მიმართ ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ნ. რამიშვილმა.

ჟურნალი „მეურნე“

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ მოკლე ხანში გამოიცემა პერიოდული სასოფლო სამეურნეო ჟურნალი „მეურნე“. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ პროფესორები და მეურნეობის მცოდნე პირები.

საპყრობილეთა დათვალიერება

თბილისში დაბრუნდა საგუბერნიო ციხეების ინსპექტორი, რომელიც ინსპექციის მიერ გაგზავნილი იყო სამაზრო საპყრობილეთა დასათვალიერებლად. მან ვრცელი მოხსენება წარუდგინა ადმინისტრაციის ინსპექტორს,

ანკეტა ყოფილ სამხედრო ტყვეებში

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაამზადა საანკეტო ფურცელი, რომელიც დაეგზავნებათ საქართველოში დაბრუნებულ ყოფილ სამხედრო ტყვეებს. ანკეტის მიზანია, გამორკვევა იმ სპეციალურ ცოდნისა და დაკვირვებათა, რომელიც ტყვეებს მიუღიათ უცხოეთში ყოფნის დროს.

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ იგ. გოძელაურის მიერ შედგენილი ქრისტომატია „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“ წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. წიგნსა ბეჭდავს ქ. შ. წერ. კით. გამავრცელებელი საზოგადოება. მალე შეუდგებიან მეორე წიგნის გამოცემასაც.

ერობა

თბილისის სამაზრო ერობამ გამოუწერა თავის სკოლებს წარსული და მიმდინარე წლების საბავშო ჟურნალი „ჯეჯილი“ და „ნაკადული“, ხოლო მასწავლებლებს—პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“.

თეატრი.

დღეს:

სახელმწიფო თეატრი—„რიგოლეტო“.

„ტარტოს“ დრამა — „მშობლიურ ჭერ-ქვეშ“.

პროვინციის ცხოვრება

ბათომი

28 დეკემბერს თფილისიდან ბათომში ჩამოვიდა სტუდენტთა მესამე ჯგუფი, რომლებიც საზღვარ გარეთ მიემგზავრებიან. უმრავლესობა — ბელგიაში.

— საქართველოს რესპუბლიკის კონსული ქ. ბათომში ბ-ნი ჩინიკაშვილი აცხადებს, რომ ვინაიდან თფილისში ნება არ აქვთ იცხოვრონ იმ პირებმა, რომლებსაც არ აქვთ აუცილებელი კავშირი თფილისთან, ამიტომ თფილისში წასასვლელი ნებართვა მიეცემა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ თფილისში მუდმივი სამუშაო და იმათაც, რომლებიც მიემგზავრებიან თფილისში აუცილებელ საქმეების გამო, თუ ამაში თვითონ კონსული დარწმუნდება.

საახალწლო აღსარება

თავისუფალი საქართველო

მოფიქრებულ აწონილ-გაზომილ სიტყვას და საქმეს მოვითხოვდი ძველ წელიწადში ჩემი შვილებისაგან.. ამასვე მოვითხოვ მათგან ახალ წელშიაც...

გრიზა

.... საქმე?!.. ახალ წელში ვეცდებით გავაკეთოთ რამე... ძველი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი გაგვიკეთებია. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.. რა საჭიროა ჩამოთვლა.

წვრილი ფეოდალები

პარტიული კინკლაობის პირმშო შვილები ვართ. გამგეობაში გავიყვანეთ ერთი პარტიის ხალხი. სახელი შესაფერი გვაქვს, მაგრამ ვაი თუ „წვრილმანი“ საქმეებიც ვერ მოვაგვაროთ, თორემ „სხვილმანებმა“ თქვენი ჭირი წაიღოს...

მიწის სამეურნეო კომისიები.

უნდა აღვიაროთ გულწრფელად, რომ ბევრი „დროიძეები“ გაგვიჩნდენ სოფლად (საგარეუბლო კომისიის წევრების სახით) წარსულ წელში... ბევრჯერ დავგვიჯერეს... ბევრჯერ გადაგვაფუჩეჩეს... მიწის ხარისხი, ოჯახური მდგომარეობა, პირობა მირობა და სხვა ამგვარები... ეჰ რა დროს ესაა. მიწები უნდა ჩამოვართვათ მტყუანსა და მართალს ამაში იქნება დიდი ღვაწლი შთამამავლობის წინაშე...

უცნაური გამომძიებელი.

მომჩივნის გაუგებრად, ფარულად ვახდენდი გამოძიებას.. მოწმეებს მე თითონ ვუწინასავდი მომჩივანს. სინიდისი?!.. სრულიად არ მეჯუნდა!. ან კი რა დროს სინიდისია.. ღმერთმა უშველოს სოფლის დროიძეებს.. მეხმარებოდნენ.. ძმა ბაჟები მოწმეებათ მოყავდათ.. ეს ერთად ერთი სწორი გზა იყო სიმართლის აღსადგენად. ამ გზას დავადგები ახალ წელშიაც, თუ სადმე გამაგზავნეს კიდევ გამოსაძიებლად.

ერთი მოხელე.

წარსულ წელში საკმაოდ გაეცნო საზოგადოება ჩემს პიროვნებას. სალაპარაკო ბევრი არაფერი მაქვს, ვიტყვი მხოლოდ, რომ „ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა ქალამნად“. ახალ წელშიაც არ ვუღალატებ ძველ გზას. ცხვირს მაღლა ავწევ, გავიბღვირები და... კარგი რა საჭიროა ყველაფრის ჩამოთვლა.

მეორე მოხელე

ჩემს სიტყვისა და საქმეს შორის დიდი ზღვარი იყო. თბილი სიტყვებით უმასპინძლდებოდი ყველას, წარსულ წელში და თბილი სიტყვებითვე გაუმასპინძლდები ახალწელშიაც... ამით რა მომაკლდება.

მესამე მოხელე

არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც თავაზიანობა, არც ზრდილობა და არც სხვა რამ ამის მსგავსი ხელს არ მიწყობს, მაგრამ ადგილი კი დიდი და თვალსაჩინო მქონდა წარსულ წელში და ვფიქრობ, მომავალ წელშიაც მექნება.

სოც. დემ. პარტია

ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელი და ჭკუის დამრიგებელი ყოფილა: ბევრი რამ ამოგვაშლევინა მან ჩვენი რწმენიდან წარსულ წელში და მგონია რომ მომავალი წელშიაც ბევრს ამოგვაშლევინებს.

სოციალიზმი?!. ჯერ ძლიერ შორს არის...

სოც. რევოლ-ბი.

ძალიან ნაშლილია ჩვენი საქმე საქართველოში...

სოც. ფედერალისტები.

სინამდვილე სულ სხვას გვეუბნებოდა წარსულ წელში. პროპაგანდას ფედერაციის განმტკიცების შესახებ ახალ წელშიაც ვაწარმოებთ.. ცხოვრების მაგალითები ჩვენზე ვერც მომავალ წელში იმოქმედებენ..

ეროვ. დემოკრატები.

ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია: ის ალაგმავს ამპარტავანთ, შეაჩვენებს გადაგვარებულთ, დააჯერებს ურწმუნოებს.. ამის მაგალითები გვაჩვენა წარსულმა წელმა.. უფრო მეტს ველით მომავალ წლიდან...

ჩვენი ქალაქის მოურავი.

თვეში ოცი დღე თბილისში და ათი კი ჩემდამი რწმუნებულ ქალაქში!... ამას მოითხოვს ჩემგან ჩემი დუქნის ინტერესი, მისი აწმყო და მომავალი.

გვარდია.

ზედმეტმა ქებამ წარსულ წელში შეგვაწუხა... კარგს ინებებენ. ორატორები,—ჩემი მეხოტბეები გვარდიაში ჩაეწერებოდნენ ახალ წელში მაინც...

ჯარი.

ქებას არ მოვითხოვ ახალ წელშიაც... ამას კი ვიტყვი, რომ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მხოლოდ რეგულიარული ჯარი შესძლებს...

მილიციონერი

ბატონი გიყავი წარსულ წელში. ბატონი ვიქნები ახალ წელშიაც.

მუშა-პროლეტარი

ვენაცვალე სოციალისტებს! რვა საათის სამუშაო დღე და პუშკით ფული,—აი რა მოგვცეს მათ ძველ წელიწადში. თუ მათი თავი კარგათ მყოლია,—ოთხი საათის სამუშაო დღეს და კალთით ფულს რა დაუდგება წინ მომავალ წელში?

სპეკულიანტები

თუ გაგრძელდა ჩვენი ცხოვრების მოუწესრიგებლობა ახალწელშიაც, მოვკვდე, თუ მთელ სიცოცხლეში სამყოფი ფული არ გამოვკრათ ცხვირსახოცებში.

ვაჭრები

ერობა, ქალაქის თვითმართველობა, მასწავლებელთა კავშირი და ვინ ვინდათ კიდევ სხვა, ყველა დარწმუნდა, რომ ვაჭრობას არაფერი ჯობნებია. ვფიქრობთ ახალ წელში კიდევ ბევრი ამხანაგი გამოგვიჩნდება.

სოფლები.

გაიძვირეს... გავაძვირეთ... გაიძვირებენ? გავაძვირეთ. ვნახოთ ახალ წელში ჩვენ დაგვრჩება გამარჯვება თუ ქალაქებს.

ზოგიერთი მოსწავლე.

ძველ წელიწადში ვზარმაცობდი... მოვკვდე თუ ჩემი ზარმაცობა არ გაორკეცდეს მომავალ წელში...

კარტის მოთამაშე.

თუ ღმერთი შემეწია და ხალხი არ დაჭკვიანდა... „ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“ მომავალ წელშიაც...

ძველი რეჟიმის მომხრე.

მიჰოს!.. ძველი წელიწადი გათავდა. ახალი იწყება და ჩემი მოლოდინი, მგონი, არ მართლდება...

დროიძეები.

არ გვიხნავს, არ გვითესია, არ გვივენილია, არ გვიქმნია..- მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ კარგი გვეცვა, კარგი გვეხურა, კარგს ვსვამდით და ვჭამდით... ვფიქრობთ ამ გვარი იქნება ჩვენი ბედი ახალ წელშიაც.

გორგი.

ია ეკალაძე

წერილები გურიიდან

წერილი მესამე

„ბოლშევიკების“ დამარცხების შემდეგ ჩოხატაურის რაიონი თითქოს გამოიცვალა:

აღარ ისმის შიშის მოზღვრული ჩურჩული: „გამოვლენ, გამოვლენ!“ აღარა ვართ უბედური დღის მოლოდინში. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა და დრო მიილოცავს საშინელს ერთფეროვნებასა და მოწყენილობაში.

ოხ, რომ იცოდეთ რა მძიმეა დაბა ჩოხატაურში ცხოვრება! კიდევ კარგი, რომ ეს ორი კვირაა აქეთ ჩინებული დარებია—გაზაფხული გეგონებათ—თორემ ერთს მშვენიერსა, თუ საძაგელ დღეს, მარტოობითა და სევდით შეპყრობილი გრძნობიარე ადამიანი ისე, ტყუილ-უბრალოდ, დროს მისაკლავად, თავს ჩამოიხრჩობდა!

გაზეთები, ხშირად, სამი-ოთხი დღე იგვიანებს, საკრებულო აქ არ არის და მეზობლური მისვლა-მოსვლაც აქ, ჩოხატაურში, უცხო ხილი ყოფილა!

რკინის გზა მაინც იყოს ახლოს, რომ ადამიანი მატარებლის გუგუნით გაერთოს და გაიხსენოს, რომ ჩვენი ყრუ დაბის გარეშე კიდევ არის სხვა ქვეყანა, სხვა ხალხი!

მომკლა, გამათავა რუსული სუნით აშმორებულმა, ძველი, ოთხმოცდაათიან წლების ჟურნალ „როდინას“ კითხვამ!

არ ვიცი საიდან გაჩნდენ ეს ჟურნალები ჩემსას, ვინ მოიტანა?

ალბად ჩემი ჯავრი თუ სჭირდა!

არ მინდა ხოლმე მათი თვალით დანახვა, მაგრამ აი ღამღამ, ჯოჯოხეთურად ჩამობნელდა, მიწყდა ხმა ადამიანებისა, ძე-ხორციელი ჭაჭანებად არა სჩანს, მკვდრული სიჩუმე სუფევს ირგვლივ...

ბავშვები გაკვეთილებს ჩაუსხდნენ... ცოლი რაღაცას აკლანებს... ლამფა საცოდავად ბჟუტავს... ჩვენი შავი კატაც კი ისე დაჟინებით ხრუტუნებს, გეგონებათ, შემოჩინილია.

გულ-ხელ დაკრეფილი დადიხარ ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდის და ჰფიქრობ... ჰფიქრობ დაუსრულებლად.

დრო გამოშვებით აცქერდები თაროზე გამწკრივებულ შენ პაწია სამკითხველოს, ვინძე რაიმე წიგნი გამოარჩიო, მაგრამ რომელი?

ხუთჯერ და ათჯერ გაქვს გადაკითხული თითოეული მათგანი! აგერ „რჩეული ნაწერები“ ნ. ჟორდანიასი. აგერ არ. ჯორჯაძე, 1—5 ტომი, აგერ რუსეთის დიდებანი: ტოლსტოი, ჩეხოვი, ბელინსკი!.. აი სიმბოლისტ-ფუტურისტების „ყანწები“. „ნიამორები“ და „თოლაბუღლის სარტყელი“...

იღებ ამ უკანასკნელთ კითხულობ... არა გესმის რა! თავი უცხოეთში გგონია. მხრებს იწევ, მწარედ იღიმები!..

— ღმერთო! რატომ ფუტურისტად არ გამაჩინე, ან ჩვენებურ „სოციალისტად“ რა მშვიდად ვიქნებოდი მაშინ!—ესაყვედურები ღმერთს,—მაგრამ კაცი რომ ხმას არა გცემს, ღმერთი შენთვის რას მოიცლის? და კვლავ დაფრთხიალებ ოთახში თავ-ბრუს დასხმამდე.

— დავსწერ რამეს მაინც!—ჰფიქრობ, მაგრამ რა უნდა დასწერო: მოთხრობა? დრამა? ლექსი?

ვინ კითხულობს მერე შენს ნაწერს?

„ერთობის“ გარდა, სხვა ქართული გაზეთი აქეთ სანთლით საძებარია... თუნდაც გააკეთო რამე, ვინ გადებს ძაღლად... ან რა ეშმაკს დასწერ! მწერალს უნდა ცხოვრება, განცდა, ხელსაწყო, მოცალეობა, გუნება, ხალისი!..

შენ კი მობღუნძულხარ სიცივისაგან, მშიერი, ნახევრად შიშველი, განმარტოებული, დავიწყებული!

გვერდით ასი და ორასი რვეული გიდევს—მოწაფეთა ნაცოდვილარი—ჯერ ესენი უნდა გაასწორო...

ეჰ! ამისთანა ცხოვრებაც დაიქცეს!

უბედურ კაცს ვერც რევოლუცია უშველის და ვერც ჩვენებური სოციალიზმი!

ღვთის წინაშე, ჩემიანები კი უფრო გულმავიწყნი არიან.

მოწინააღმდეგე ერთს მაინც შემოგაგინებს, გაგკრავს, შეგბერტყავს, „მასსის“ თითით საჩვენებელს გაგხდის შენი წრის კაცი კი ზის თავთქარიძესავით და ლობიოებით ანგარიშობს, რომელი რიცხვი უნდა იყოს დღეს ძველი სტილით!...

რა შენი ჯავრი აქვს!...

— გოგო... შვილო! მომაწოდე ეგ ოხერი „როდინაა“, თუ ფილთაქვა სურათებს მაინც გადავსინჯავ... გავერთობი!—უძახი მატარა გოგონას და იმასაც თვალის დახამხამებაზე მოაქვს ვეებერთელა, მთელი წლის ერთად შეკრული, რუსული ჟურნალი.

შლი ალალბედზე.

„წმინდა სტეფანე პერმიდან“ კითხულობ და უყურებ: დგას ვიღაც პოხროა რუსი ეპისკოპოსის შესამოსით, წვერები წელამდე... თვალები დაჭყეტილი, უაზრო, ცივი, კალმახისებური—ასეთი წმინდანი ქვეყანას როგორ დაიხსნიდა!—ჰფიქრობთ და ფურცელს ფურცელზედა შლით.

აგერ, ვიღაც დიდყურება, სათვალებიანი კაცი, წვერ-ულვაში მოსტვლეპია, და ისეთი ეშმაკურად გამოიყურება, რომ სულ ჭრჭანტელი გველის

„კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევი!“

— ფუი, დასაწყევლოს ეშმაკმა!..

შლი ქვევით.

— ეკლესიები... მონასტრები... გენერლები... რუსეთის გერბები...

კიდევ ქვევით:

„ჟანდარმი ბარანოვი“..

კიდევ ქვევით:

„გრაფი ილ. ვარანცოვ-დაშკოვი“...

— საქართველოს ბატონი?

— დიახ, ჩვენი ჩუმი მტარვალი და უგვირგვინო მეფე დაშნაკელებისა, სოხხებისა!

ველარ უძლებ ამდენ უწმინდურებას, ჟურნალს ტახტზე ანარცხებ და ბრაზ მორეულს გაგონდება საქართველოს ტანჯვა-ვაება... დამცირება. . ჩვენებური პარტიული კინკლაობა. გაუტანლობა. დაუდევრობა. „რევოლიუცია“. „ევოლიუცია“ ჩვენი სოციალ-დემოკრატების ბელადთა აზროვნებაში და... გახარია, რომ სრულდება დიდი გალილეის დიდ-მნიშვნელოვანი სიტყვები:

— მაინც ბრუნავს!

— დიაღ, მაინც ბრუნავს.

თუმცა დიდი მიხვეულ მოხვეულის გზით, მაგრამ მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს ხალხში ეროვნული თვით-შეგნება რომელი შეგნებაც,—დღევანდლამდე ასე დაბნელებული და აბუჩად აგდებული იყო.

მე სიყმაწვილეშიაც მრწამდა (და ახლაც უფრო მრწამს), რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამასთანავე ისიცა მრწამს, რომ ვიდრე არ გადაივლის ორი-სამი თაობა, ჯერ კიდევ ბევრ შხამსა და ნაღველს შესვამს ჭეშმარიტი მამულიშვილი, ჭეშმარიტი მოყვარული თავისი სამშობლოისა და თავისი ერისა!

რათა?

იმიტომ, რომ უმრავლესობა იმათი, ვინც 1905 წლამდე რუსის სკოლაში გამოიზარდა, ძალზე დამახინჯებულია, ხოლო 1905 წლიდან გამოსული თაობა კი ისე არის გაჟღენთილი ყალბი აზრებითა და ყალბი შთაგონებით ჩვენებურ პარტიული ჟინიანობისა გამო, რომ ადვილად ვერ განიწმინდება გონებითა და გულით!

ის ახალგაზრდა (თუნდ[illegible] გიმნაზიის 6—8 კლასისა), რომელიც, მაგალითად, ილიას „ქართველი დემოკრატიის“ მტრათა და მავნებლადა სთვლის, აბა, როგორ შეიგნებს საღ პატრიოტიზმს?

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, „ცემა გემართებს გამზრდელისა“, მაგრამ, ვაი, რომ „გამზრდელიც“, ყალბათ შთაგონებული და გაწრთვნილი—განაგრძობს თავის „იდეის“ სამსახურს და ასეთ მიუტევებელ მკვრეხელობას!

სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ბევრს კუჭკუჭა—„დემოკრატს“ ურუსეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

იმ დროს, როცა მმართველ პარტიის ბელადებმა აშკარად აღიარეს უსაბუთობა თავისი ძველი მოძღვრებისა—ვითომც რუსებს ჩვენში განათლება შემოეტანოსთ და ვაჟკაცურად გამოაცხადეს, „რუსეთში დემოკრატიაც კი არ არის და ამიტომ ჩვენ, ქართველებმა, საკუთარის ჩვენი ისტორიის მიერ ნაკარნახევი გზით უნდა ვიაროთო,—ამ ბელადების ღირსეული თუ უღირსი მოწაფენი ისევ ძველებურად არაკუნებენ სახალხო მიტინგებზე, რაც ერთხელვე გაუზეპირებიათ და მით ქართველ მასსას კვლავ ორჭოფულ მდგომარეობაში სტოვებენ.

ვისაც პროვინციაში ხანგრძლივ უცხოვრია, ამის გარდა, ისიც ეცოდინება, თუ როგორ ერიდებიან ერთმანეთს ინტელიგენტები, რა ჩუმი შური და მტრობა არსებობს მათ შორის, რა მიუკარებლობა სუფევს და რა ღრეჯისა და კრეჭის თვალით უყურებენ ერთი მეორეს ეს „მარილნი ქვეყნისა“!

ამის მიზეზი იგივე რუსული აღზრდაა, იგივე პარტიული „დისციპლინაა“ იგივე პარტიული უნდობლობა და შენ-ჩემობაა, თორემ მას შემდეგ, რაც გაგვიჩნდა საერთო საქმე—თავისუფალი საქართველო,—ის რომი, საცა ყველა გზა იკრიბება, რაღა უნდა ჰქონდეს პროვინციაში მომუშავე ერთ ინტელიგენტს მეორესთან საბუზღუნო და გასაყოფი? მაგრამ, ეკი მოგახსენებთ, ჯერ კიდევ დიდხანს შეგვრჩება მონობის ნაშთები, ჯერ კიდევ დიდხანს არ გადაიფერება ჩვენი გულ-გონებიდან ის ჟანგი—რუსეთის რეჟიმმა რომ შეგვძლვნა, იმ რეჟიმმა, რომელმაც შეიძლება იხსნას „ხორცი“ ქართველი კაცისა, მაგრამ სული მისი კი „მოჰკლა!“

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მექრაზიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პრევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპურება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ, 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—22.

დოქტორი მედიცინისა
მიხე ანთიმოსის ძე
ცალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ.-მდე ოლღას ქ. 3.ა ტელეფონის № 17—21.

ექიმი
გ. ზ ნდუკელი.
მოსკოვის კლინიკის და სანატორიუმის ყოფილი ასისტენტი.
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს (ელექტრონით წამლობა და პსიხოტერაპია). იღებს საღ. 5 ს.—6 ს. 9 ანასტასიევის ქუჩა № 13. ტელ. —31 265—25—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტუ[illegible]შვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოების (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 13 ვაჭრობა და მრეწველობა № 13
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

საქართველოს თანამედროვე ეკონომიური ვითარება

(გაგრძელება*)

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში საქართველო თითქმის სავსებით მოწყვეტილი იყო ეკონომიურად და განიცდიდა საქონლის მწვავე კრიზისს. ამ დროს ჩვენ ორჯელ ნაკლები შემოვიტანეთ ვიდრე ამავე წლის მეორე ნახევარში.

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ჩვენი ვაჭრობა მომწყვდეული იყო ამიერ-კავკასიისა და, ნაწილობრივ, ჩრდილო კავკასიის ვიწრო ფარგლებში. მეორე ნახევარში გზები გაიხსნა ევროპისკენ და ვითარებაც უცებ შეიცვალა. საქმის ვითარება წლის პირველ ნახევარში და მეზობელ სახელმწიფოთა ფულის ერთგვარი სისტემა საკმაოდ მართლებდნენ მაშინ მიღებულ პრინციპს, რომლის თანახმად აკრძალული იყო საქონლის გაზიდვა, თუ შემოტანილი არ იქნებოდა ეკვივალენტური რაოდენობა საქართველოსთვის საჭირო საქონლისა, როგორც მოგახსენეთ, შემდგომ გზების გახსნისა ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა. დასავლეთ ევროპიდან აუარებელი საქონელი მოაწყდა მახლობელ აღმოსავლეთს, და კერძოთ—საქართველოს. სავაჭრო ბალანსი უცებ შეიცვალა ჩვენდა საზარალოდ.

უკანასკნელი ეკონომიური სკოლა უარყოფით ბალანს არ სთვლიან თავის თავად სახიფათოდ, თუ, რასაკვირველია, საანგარიშო ბალანსი აქტიურია. აქტიური ბალანსი შესდგება მრავალ ელემენტისგან, მათ შორის: სავაჭრო ბალანსი, სატრანსპორტო ანგარიში, კაპიტალი უცხოეთში და უცხოელთა ხარჯები ჩვენს სახელმწიფოში. უცხოეთში ჩვენ კაპიტალი არა გვაქვს, უცხოელთა ხარჯი ინგლისის ჯარების წასვლის შემდეგ სათვალავში ჩასაგდები არ არის, რკინის გზები თითმქის ზარალს იძლევიან. ამ რიგათ სავაჭრო ბალანსი ჩვენი საანგარიშო ბალანსის გამორკვევის ერთად ერთი საშუალებაა.

ჩვეულებრივად უარყოფით სალდოს ჰფარავს ოქროს გასვლა უცხოეთში, მაგრამ ჩვენ ოქრო არ გვქონია, ჩვენი პასივი იფარებოდა ნაწილობრივ რუსეთის საკრედიტო ბილეთებით, უმთავრესად კი—სყიდვით (ჩვენებური ფულით) უცხოეთის ვალიუტისა. აი მეორე უმთავრესი მიზეზი (პირველი—ჩვენი ფულის დაბალი კურსია) კურსთა საშინელ განსხვავებისა.

ამ სახიფათო ვითარებიდან თავის დასაღწევად უნდა მივმართოთ უკიდურეს საშუალებას, რომელსაც ხმარობს მთელი ქვეყნიერება: უნდა შევზღუდოთ იმპორტი და გავაძლიეროთ ექსპორტი.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ შეცვლილ იქმნეს ჩვენს საგარეო ვაჭრობაში დამყარებული რეჟიმი. უნდა რეორგანიზაცია მოხდეს ექსპორტის სისტემისა, რომელიც ნებართვაზეა დამყარებული.

ყოველგვარი საქონელი უნდა დაიყოს კატეგორიებად, გასატანი საქონელი შეიძლება სამნაირი იყოს:

ა) ის საქონელი, რომლის შემოტანა სრულიად აკრძალულია (ძვირფასეულობა, ფუფუნების ნივთები).

ბ) საქონელი, რომლის შემოტანა თავისუფლად შეიძლება, მაგრამ მას ბაჟი ედება (ყველა დანარჩენი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომელიც ჩამოთვლილია მუხ. ა და გ)

გ) საქონელი, რომლის შემოტანა თავისუფალია და მასზე დადებული არ იქნება არც ბაჟი, არც აქციზი (პური და სხვა ნივთები და მასალა უპირველეს საჭიროებისა, ნავთი, მანქანები და ჩვენი ქვეყნის დამმუშავებელ მრეწველობისთვის საჭირო ნედლი მასალა).

გასატანი საქონელიც სამ ჯგუფად იყოფა:

1) რომელთა გატანა სავსებით აკრძალულია (პური და სხვა მასალები უპირველეს საჭიროებისა).

2) რომელთა გატანა სახელმწიფო მონოპოლიას შეადგენს (ადგილობრივი ნედლი მასალა—შავი ქვა, მატყლი, აბრეშუმის პარკი და თამბაქო).

3) რომელთა გატანა სრულიად თავისუფალია (ყველა დანარჩენი საქონელი).

ნათქვამის რეგლამენტაცია დიდ ჯაფას არ მოითხოვს, გარდა მე-3 ჯგუფისა, ე. ი. იმ საქონლისა, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიას შეადგენს.

ჩვენმა ქვეყანამ ხიფათს თვალში თვალი უნდა გაუყაროს და მოამზადოს ახალი მსხვერპლი.

საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ ვერ გადავიხდით იმის ღირებულებას, რაც ჩვენ გვჭირია.

ჩვენ ჩვენი ხარჯი უნდა შევამციროთ და მოთხოვნილება ჩამოვიყვანოთ უუპირველეს საჭიროების საგნებამდის.

კანონმდებლის აზრით სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადებას ზოგი საქონლის გატანაზე, მიზნად ჰქონდა უმთავრესად უუპირველეს საჭიროების საგნების გაიაფება. იმ მიზნის მიღწევა შეიძლება უფრო ხელსაყრელ განაღდებით ჩვენი ნედლი მასალისა მის მოხმარების ბაზარზე და დამზადება ჩვენი ქვეყნისთვის უუპირველეს საჭიროების საგნებისა მათი წარმოების ბაზარზე. ამას უნდა დაემატოს მესამე დებულება—მომხმარებელთა შორის უუპირველეს საჭიროების საგანთა პირდაპირი განაწილება.

ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ეს ზომა უნდა დროებითი იყოს. მან უნდა სძლიოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც თან სდევენ ჩვენს საზოგადო ეკონომიურ ვითარებას, და კერძოთ—მოსპოს ამ დაბრკოლებათა სხვა მიზეზებიც: უცხოეთში ანგარიშების გასწორება გაადვილოს და მოაწესრიგოს ჩვენი ქვეყნის მოხმარების ბაზარი.

ამ შემთხვევაში ასარჩევია ის აპარატი, რომელიც ამ ოპერაციას გაატარებდეს უფრო ხელმოჭერით და მომჭირნეობით.

ამავე დროს ეს საკითხი უმთავრესიც არის. მასი სისწორით გადაჭრაზე იქნება დამოკიდებულიც იყოს ჩვენი ქვეყნის ბედი.

ამ წლის 7 ივნისს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ წარუდგინა ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტს თვისი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ და დაწვრილებითი სქემა ზემოხსენებულ ორგანოს ორგანიზაციისა.

სამწუხაროდ, პალატის თვალსაზრისი არ იქმნა გაზიარებული და ეს საკითხი აქამდის გადაწყვეტილი არ არის.

მრავალი ობიექტიური საბუთით და ფაქტით შეიძლება დამტკიცდეს, რომ დღევანდელ პირობებში ამ მიზნით დაარსებული მთავრობის ორგანოები ვერ მოერევიან ამ საქმეს. ჩვენის აზრით აუცილებლად უნდა აღიარებულ იქმნეს, რომ ამას წინად დაარსებულმა მომარაგების მმართველობამ ვერ დასძლია ნაკისრი საქმე. მეტსაც ვიტყვით, მან უარესი დეზორგანიზაცია შეიტანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

დიმ. აფხაზი.

(გაგრძელება იქნება).

---

*) სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოხსენება, რომელიც წარედგინა მთავრობას ა. წ. 7 ნოემბერს (იხილე „ივერია“ ნოემბრის 23, 26, 29, 30 და დეკემბრის 4, 7, 11, 14, 17, 21, 25 და 28-სა).

პურის სპირტის წარმოება საქართველოში

წერილი მეოთხე

საქართველოში პურის სპირტის წარმოებისათვის განსაკუთრებით ხმარობენ ქერს და სიმინდს, თუმცა პურის სპირტის სახელით ხშირად გამოაქვთ გასაყიდათ რუსეთიდან მოტანილი კართოფილის, შვრიის და ჭარხლის საშაქრო წარმოების ნარჩენებიდან გამოხდილი სპირტი.

რამდენად უფრო მარტივი და პრიმიტიულია მუშაობა იმ ქარხნებისა, რომელნიც სპირტს ყურძნის და ხილეულობის მასალიდან ჰხდიან, იმდენად პურის გამოხდის ტეხნიკა უფრო რთული და ძნელია. ჭაჭის არაყის გამოსახდელათ საკმარისია მომცრო სპილენძის ქვაბი, დადგმული ჩოდოლში ან ხშირად პირდაპირ ცის ქვეშ და მთელ საქმეს ასდის 3—4 მუშა, ხოლო პურის გამოსახდელი ქარხანა მოთავსებულია მკვიდრ დიდ შენობაში, აქვს აუარებელი ძვირფასი და რთული აპარატი, და სამუშაოს ასრულებს რამდენიმე ათეული მუშა, რომელთა შორის 2—3 ტეხნიკი სპეციალისტია.

პურის გამოხდის საქმის ასე ფართოდ დაყენება, შედარებით სასმლების გამოხდასთან, გამოწვეულია თვით წარმოების ტეხნიკის ძირითად განსხვავებით. მასალაში, რომლიდანაც ჰხდიან ყურძნის სპირტს, ე. ი. ყურძნის ჭაჭასა, ღვინის ტლეში, და მეღვინეობის სხვა ნარჩენებში, სპირტი მზა სახით იმყოფება და საჭიროა მხოლოდ მისი გამოყოფა; პურის მარცვალი კი შეიცავს მხოლოდ სახამებელს, რომელიც ქიმიურ საშუალებით უნდა გადიქცეს შაქროვან ნივთიერებად, რაიც ადუღების (გაფუების) შემდეგ იძლევა უკვე სპირტს.

გაღივების დროს პურის მარცვალში ვითარდება ერთგვარი ნივთიერება-დიასტაზი, რომელიც მოქმედობს სახამებელზე და აქცევს მას შაქროვან ნივთიერებად, ეგრედ წოდებულ მალტოზად. ყველაზე მეტ დიასტაზს შეიცავს გაღივებული ქერის მარცვალი, რომლიდანაც ჩვეულებრივ ალაოს ამზადებენ; ალაოს ხმარობენ სასმელების და ლუდის გამოხდის სხვა წარმოების დროს.

აღნიშნულ პირობების ძალით, ყოველ პურის გამომხდელ ქარხანას უნდა ჰქონდეს საალაო—დიდი შენობა, სადაც ხდება დალბობა მარცვლისა, მისი გაღივება, გაშრობა, ღეროების მოცილება და სხვ.

ქარხნის მეორე უმთავრეს ნაწილს შეადგენს ორთქლმგროვი—კონუსის ფორმის უზარმაზარი რკინის ქურჭელი, რომელშიაც ორთქლით ხარშავენ მარცვალს 2—3 ატმოსფერის ზედაწოლით. ორთქმგროვიდან გამოდის თხელი ფაფა, რომელიც განვლის გასაციებელ ქურჭელს და ჩადის დასადუღებელ განყოფილებაში.

ეს მესამე განყოფილება, ექვს გარეშეა, ყველაზე უმთავრესია; შესდგება თავ-ახდილ 500 ვედროს და უფრო მეტის შთამტევნელობის ხის დიდროვან კასრებიდან. დასადუღებელ განყოფილებაში ხდება ორი უმთავრესი ქიმიური პროცესი: დაშაქრება, ე. ი. მარცვლის სახამებლის გადაქცევა შაქროვან ნივთიერებად, რომელსაც შეუძლიან სპირტის მოცემა და დადუღების მოხდენა, ე. ი. დაშლა ამ შაქროვან ნივთიერებისა სპირტსა და ნახშირმჟავედ. პირველ პროცესს ხელს უწყობს ალაოს მიმატება, რომელიც შეიცავს დიასტოზს, მეორეს იწვევს დროჟის მიმატება, რომელიც მზადდება სასმელების გამოსახდელ ყოველ ქარხანაში განსაკუთრებულ სადროჟე განყოფილებაში. დადუღების შემდეგ პურის მასალა ღებულობს ბურახის (бражка) სახეს, ადვილად მოძრავი თხევადია და შეიცავს 5—10 პროცენტამდე სპირტს. ამ სახით ბურახი საქაჩავით გადაჰყავთ გამოსახდელ განყოფილებაში, სადაც სპირტის გამოყოფა ხდება.

სპირტის გამოსახდელი აპარატი მრავალი სისტემისაა, მაგრამ ყველაზე უფრო ხმარებაშია სავალის და სიმენსის აპარატები. უკანასკნელ დროში ახდენენ კომბინაციას ბურახის გამოსახდელ და სარექტიფიკაციო აპარატებისას და პირდაპირ იღებენ გაწმენდილ 95—96 გრადუსის სიმაგრის სპირტს.

თუ ზემორე მოყვანილ აღწერილობას დაუმატებთ, რომ ყოველ პურის გამოსახდელ ქარხანაში საჭიროა იყოს საორთქლე ქვაბები, ორთქლის მანქანა, საქაჩავები გასაციებელი ქურჭელი, პოსარავები, ელექტრო-მოტორები, ელევატორები და სხვ., მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის თუ რამდენად რთული და ძვირფასია პურის სახდელ ქარხნის ტეხნიკური მოწყობა. ოდესღაც საშუალო მწარმოებელ ქარხნის მოწყობა ღირდა რამოდენიმე ასი ათასი მანეთი, თანამედროვე ფასების მიხედვით კი იგი ეღირება ათ მილიონ მანეთამდე.

საქართველოში ორი პურის სახდელი ქარხანაა: ერთი გორის მაზრაში სადგურ გომთან, მეორე სოფელ ახალთუმანში ზუგდიდის მაზრაში. პირველი ქარხანა აშენებული იყო 1903 წელს და ნავარაუდევი იყო წლიურად 5 მილიონი გრად. რექტიფიკაციურ სპირტის საწარმოებლად. ეს ქარხანა მდებარეობს მტკვრის პირად, რაიც მას უზრუნველჰყოფს წყლით, მოთავსებულია აგურის მკვიდრ შენობაში, რომელიც საგანგებოდ აშენებულია სასმელების გამოსახდელ ქარხნისათვის და მოწყობილია აპარატებით, რომელთა შორის ზოგი წამოღებულია ბორჯომიდან და ზოგიც ახლად შეძენილია მოსკოვში.

ბურახის გამოსახდელი აპარატი ამ ქარხანაში გილომის სისტემისაა და განირჩევა ერთგვარი სირთულით, მაგრამ, თუ ერთხელ სწორეთ დაყენდა, იგი მუშაობს საათის მექანიზმის სისწორით და იძლევა პირველ ხარისხის 95 გრად. და უფრო მეტი სიმაგრის სპირტს, რომელსაც სისუფთავის მხრივ ვერავითარი სასტიკი გამოკვლევა წუნს ვერ დასდებს.

ეკონომისტი.

(დასასრული იქნება)

არგენტინა და პური

(დასასრული*)

თანდათანობრივი განდევნა რუსეთის პურის მოხდა კიდევ უფრო თვალსაჩინოთ ინგლისში, რომლის მთელი ხორბლეულობის იმპორტიდან შეზიდული იყო.

წლებში	რუსეთიდან.		არგენტინიდან	
	მილიონი ინგლისური (ცენტნერ.)	პროც. მთელი იმპორტ. ინგლისში.	მილიონი ინგლისური (ცენტნერ.)	პროც. მთელი იმპორტ. ინგლისში.
1882—91	12,5	15,8	0,9	1,1
1892—901	10 3	10,6	8,4	8,6
1902—06	17,9	15,7	16,8	14,7
1907—11	16,3	14,3	20,8	18,2
1912	9,0	7,3	18,8	15,3
1913	5,0	4,1	14,0	12,1

უკანასკნელ წლებისათვის სტატისტიკაში არ არის შესული ზოგიერთი რაოდენობა შეზიდული არგენტინიდან ინგლისში. მისდამიუხედავათ არგენტინამ რუსეთს ხორბლეულობის ინგლისში შეზიდვით გადააჭარბა მოულოდნელათ. არგენტინა სამჯერ მეტ ხორბალს აძლევდა ინგლისს ვიდრე რუსეთი! რუსეთის ექსპორტის დაქვეითება ინგლისში არგენტინის სასარგებლოთ მოხდა სულ ოციოდე წლების განმავლობაში. აგეთია ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ არაფერს ვიტყვით მის შესახებ, რომ არგენტინას ომამდე გარდა დამუშავებულ 7 მილიონ ჰექტარისა სახელდახელოთ შეეძლო დაემუშავებინა კიდევ მთელი 16 მილიონი ჰექტარი მიწა, ე. ი. გაეფართოვებინა თავისი სახნავ-სათესი სივრცე 2 ნახ.-ჯერ, რომელთაგან ნაწილი მაინც უსათუოთ დამუშავებული იქნება ომიანობის წლების განმავლობაში, რადგან ომიანობით გამოწვეულმა ჯარის კაცთა დაგროვებამ მსოფლიოს ყველა კუთხეებიდან ძალზე ასწია პურის ფასები და არგენტინაც უკეთეს დროს როდის იშოვიდა თავისი ნიადაგის გამოსაყენებლად თუ არა პურის გაძვირებისას?

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ ცნობები მხოლოდ ხორბლისა და თეთრი ფქვილის შესახებ. ჩვენ აქ მიზნათ არა გვაქვს არგენტინის სასოფლო მეურნეობის მთლიანათ დახასიათება, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ხორბალთან ერთად სხვა საკვები მარცვლეულობაც გვაინტერესებს, ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ცნობები აგრეთვე შვრიისა და სიმინდის შესახებაც. მოთესილი იყო:

წლები	შვრიით: (овесъ)
1897—1904	35,000 ჰექტარი
1904— „ 5	51,000 „
1905— „ 6	72,000 „
1906— „ 7	146,000 „
1907— „ 8	386,000 „
1908 — „ 9	633,000 „
1909— „10	575,000 „
1910— „11	801,000 „
1911 — „12	1,031,000 „
1912— „13	1,190,000 „
1913— „14	1,249,000 „

ქერით მოთესილი იყო (ячмень):

წლები	ჰექტარი
1910—11	60,000
1911—12	68,000
1912—13	108,000
1913—14	169,000

ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა სიმინდის ექსპორტი არგენტინიდან და რუსეთიდან, რომელიც უდრიდა:

წლები	სიმინდის ექსპორტი რუსეთიდან.	სიმინდის ექსპორტი არგენტინიდან.
1886-90	26 მილ. ფ.	24 მილ. ფ.
1891-95	30 „ „	14 „ „
1896-900	26 „ „	57 „ „
1901-05	36 „ „	111 „ „
1906-10	32 „ „	131 „ „
1911	82 „ „	6 „ „
1912	47 „ „	332 „ „
1913	32 „ „	299 „ „

ოთხმოცდახუთიან წლებიდან მოკიდებული ცხრაას ცხრამეტამდე არგენტინის **ექსპორტი სიმინდისა გადიდებულა მთელი 13-ჯერ**, რუსეთისა კი სრულიად შეუმჩნევლათ.

ხორბლეულობის კულტურის ინტენსიფიკაციის მხრივ საჭიროთ მიმაჩნია სურათების დასასრულებლათ კიდევ ერთი შემდეგი შედარება მოვიყვანო, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აწერს ბ. ბ. გოლდშტაინი (პანამის არხი, პურის ფასების დაცემა და სხ.) სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებთა თვითეულ სულზე მოდის სულ სხვა და სხვა მოსავლის რაოდენობა, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოს ყოველის მხრივ. თითო სულ მცხოვრებზე ხორბლის მოსავალი (пшеница) უდრიდა:

არგენტინაში	48 ფ.	რუმინიაში	18 ფ.
კანადაში	40 ფ.	შეერ. შტატებ.	13 ფ.
ავსტრალიაში	28 ფ.	რუსეთში	7 ფ.

ეხლა დაუმატეთ, რომ ეს ცნობები ეკუთვნის ომის წინა დროს როდესაც არ იყო არც ომიანობით შექმნილ ახალ გარემოებათა წაქეზება და არც პანამის არხის დამთავრებით გამოწვეული გაადვილება ტრანსპორტისა, რომელიც უცილობლად ხელს შეუწყობდა არგენტინის სასოფლო მეურნეობის განვითარებას 1914—19 წლებშიაც.

ზემოთ მოყვანილი ციფრები და საბუთები ჩვენი ფიქრით სრულიად ამართლებს ჩვენს იმედებს, რომ შესაძლოა და ადვილიცაა არგენტინიდან ფქვილისა და მარცვლეულობის მიღება. უნდა დაურთოთ, რომ პარიზში ზის მოკავშირეთაგან შედგენილი ცენტრალური ბიურო საკვებ მარცვლეულობის მსოფლიო მოსავლის გასანაწილებლად უწინარეს ყოვლისა ევროპის ქვეყნებზე. საჭიროა ამ ბიუროსთან სათანადო კავშირის დაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში პურს ვერ მივიღებთ მაშინაც, რომ არგენტინის ყველა ბეღლები პურით სკდებოდეს.

მთავრობამ უნდა მიმართოს ყველა აქაურ მისიებს, განსაკუთრებით ინგლის-ამერიკისას, რომ მათ დაადასტურონ და იშუამდგომლონ ხსენებულ დაწესებულებასთან რომ ჩვენ დაუბრკოლებლივ შეგვეძლოს პურის შოვნა და შემოზიდვა. კერძოთ ამერიკა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დახმარების კომიტეტებს აწყობს და კონსტანტინეპოლიდან, ბათომიდან და თვით ჩვენი დედა-ქალაქიდან დახმარებას აძლევს ზოგჯერ უფასოთაც ბევრ ქვეყნებს, ჩვენს მეზობლებს, იმავე კაცთ მოყვარეობით ვერ გვეტყვის უარს მაზე, რომ ჩვენვე ვიშოვოთ და შემოვზიდოთ პური, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია დამშეულია, ხალხი გაჭირვებისაგან მოთმინების საზღვარზე მისული და მთელი ქვეყანა მშვიდობიანობის მხრივ კრიტიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ეხლა ნათლათ დავინახავთ, თუ ვის უფრო სურს მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვა ჩვენში. ვინ არის ჭეშმარიტი მეგობარი ხალხთა მშვიდობიანობისა და კაცთ-მოყვარეობის პოლიტიკის ნამდვილი მწარმოებელი.

არა მარტო არგენტინა, შ. შტატები, კანადა, ავსტრალია, რუმინია, ოსტინდია და სხ. ქვეყნები საკმარისი ბეღლებია ევროპისათვის. ჩვენი დაკმაყოფილება ყოველთვის შეიძლება, ისეთი მცირეა შედარებით ჩვენი მოთხოვნილება. მაგალითი ხომ თვალწინ გვაქვს. ინგლის-ამერიკის კაცთმოყვარეობით გაძღა დამშეული, ჩვენსავით ცუდ პირობებში მყოფი სომხეთი. ჯერი ჩვენზე მოდგა.

მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ სათანადოთ ისარგებლოს ეხლანდელი მსოფლიო ბაზრების პურით დატვირთვის გამო. სიძნელეა ტრანსპორტის შოვნაში. ამ საკითხის მოგვარება უნდა უპირველეს ვალათ დაედოს ჩვენს მისიას პარიზში.

ტიტე მარგველაშვილი.

---

*) იხ. „ივერია“ 28 დეკ. 1919.

სავ.-სამრ. პალატაში

ბ-ნმა ნიკო თავდგირიძემ შუამდგომლობა აღძრა სავ. სამ. პალატის კომიტეტში შესახებ პალატის განყოფილების დაარსებისა ქალ. სოხუმში. პალატის კომიტეტმა დაადგინა დაარსდეს სოხუმში ჯერჯერობით სააგენტო.

სასარგებლო ცნობები

რეზინის კალოშების და აგრეთვე ველოსიპედის და ავტომობილის შინების დაკერება.

თანამედროვე ხანაში, როდესაც ფეხსაცმელი საზოგადოთ ასე ძვირია, კალოშები კი თითქმის ბაზარზე არ იშოვება, ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია მივაწოდოთ მკითხველებს რამოდენიმე ძვირფასი და საჭირო რეცეპტი შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა დაკერდეს კალოშა, ველოსიპედის ან ავტომობილის შინები და როგორ უნდა დარეზინდეს ჩვეულებრივი ტყავის ფეხსაცმელი. ვინც გაეცნობა ამ მუშაობის უბრალო საშუალებას, მას შეუძლიან თავის სახლში მუშაობით უზრუნველჰყოს მაგარი ფეხსაცმელებით თავისი ოჯახი და თავისი თავი და, თუ სურვილი ექნება, იშოვნოს სამუშაო და კარგი ხელფასიც.

რეზინის კალოშის დაკერება.

რეზინის კალოში ბლომად მზადდება ქარხნებში ჭვარტლით შეღებილ გოგირდნარევ სამყის (каучукъ) ცომისაგან. ამ ცომიდან როქვების (**вальцы**) საშუალებით მზადდება მასალა, რომელსაც შაბლონურ ნაჭრებათ სჭრიან, ნაჭრებს აერთებენ რკინის ცარიელ ფორმებზე და ნაპირებს აწებებენ. დამზადებულ კალოშს უსვამენ ასფალტოსის სანდალოზს (лакъ) და ცხელ ჰაერში გამოსწვამენ. კალოშის ზემო ნაწილს ამზადებენ ვულკანიურ სანდალოზისაგან, ლანჩებს (подошва) კი უფრო სქელს აკეთებენ.

დახეულ კალოშის დასაკერებლად საჭიროა: 1. ძველი კალოში საკერებლად ან ჩვეულებრივ ავტომობილის კამერა, 2. ჰოპოსანი (рашпиль), ქლიბი, მჭრელი დანა, 3. ზუმფარა (შუშიანი ქაღალდი) სხვა და სხვა სისქისა, 4. 2 წასასმელი ფუნჩი, 5. წებო, საგოზავი (замазка) და სანდალოზი.

მაღაზიებში იყიდება დამზადებული რეზინის წებო „ტრეუგოლნიკის“ და და „პროვოდნიკის“ ფირმებისა.

საქ. სავ.-სამრეწველო პალატა

თბილისი, ერევნულ საბჭოს (ყოფ. ფრეილინის) ქ., 11, ტელ. 9—18

პალატა აღმოუჩენს ვაჭარ-მრეწველებს ყოველგვარ კანონიერ დახმარებას უფასოდ და მსურველთ მისცემს:

1. **იურიდიული განყოფილება**—რჩევა-დარიგებას სამოქალაქო საქმეთა შესახებ, რომელთაც კავშირი ექნებათ ვაჭრობა მრეწველობასთან (11—2 საათამდის).

2. **სატეხნიკო განყოფილება**—რჩევას და ცნობებს შესახებ ყოველგვარ მანქანებისა, მასალებისა და ქარხანა-ფაბრიკებისა, შეადგენს მოკლე გეგმებს და ხარჯთ-აღრიცხვას (1—3 ს.)

3. **აგრონომიული**—რჩევა-დარიგებას—10—2 ს-მდის.

4. **სავაჭრო-განყოფილება** დაიბარებს ევროპიდან მსურველთათვის საქონელს, ფასებს, ნიმუშებს, ცნობებს; მოსძებნის იქ საქართველოს ნაწარმოებისთვის საუკეთესო ბაზარს; დაეხმარება სავაჭრო მიწერ-მოწერაში რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

პალატას ჰყავს საკუთარი წარმომადგენელნი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე აგენტები ჯერ-ჯერობით ქუთაისში და გორში.

სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმი პალატისა მიიღებს გამოსაფენად ნიადაგისა და მრეწველობის ყოველგვარ ნაწარმოებს.

სტამბა „ცხოვრება“ გაბავილის შესახვევი №4.